TETRIS.

ქ. თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს

29 დეკემბერი, 2014 წელი

ბატონო დავით,

ქალბატონებო და ბატონებო,

გაცნობებთ, რომ შპს „ტეტრისმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404895556) 2014 წლის 10 დეკემბერს მიმართა არქიტექტურის სამსახურს განაცხადით (ნომერი: AR1272046) ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. #1–ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.010) სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 18 აგვისტოს #01/1178 ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის. ხოლო 2010 წლის 11 თებერვლის #ნ/295 ბრძანებით და #ნ/295-1 სანებართვო მოწმობით გაცემულია მშენებლობის ნებართვა, რომლის მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრებოდა: 2010 წლის 18 თებერვლიდან 2012 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

ამა წლის 25 დეკემბერს, შპს „ჯი ემ ჰოლდინგის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 443860029) მიერ შემოტანილია განაცხადი (ნომერი: AR1275148), რომლითაც ითხოვენ 2012 წელს ვადაგასული მშენებლობის ნებართვის გაგრძელებას.

მოგახსენებთ, რომ 2009 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვის თანახმად სრულად არის დარღვეული მოცემულ ზონაში არსებული კოეფიციენტები. კერძოდ:

- $к^1$ კოეფიციენტი მაგ ზონაში შეადგენს 0.7, როცა მათ მიერ მოთხოვნილია 0.84;

- $к^2$ კოეფიციენტი მაგ ზონაში შეადგენს 4.2, როცა მათ მიერ მოთხოვნილია 5.9;

- ფანჯრები მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიდან დაშორებული უნდა იყოს 7.5 მეტრით, რაც მათ შემთხვევაში ჩვენი მიწის ნაკვეთიდან დაშორებულია მხოლოდ 0.5-1.5 მეტრით, რითაც ილახება როგლორც ჩვენი კომპანიის, ასევე არსებულ მობინადრეთა ინტერესები.

იმედი გვაქვს, თბილისის მერიის ყველა სამსახური ყურადღებით მოეკიდება ჩვენი კომპანიის კანონიერ მოთხოვნას და არ გასცემს მშენებლობის ნებართვას მოცემულ პროექტზე და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცეს ისეთი სახის სამშენებლო ნებართვა, რომელიც სრულად შეესაბამება მოცემულ ზონაში არსებულ სამშენებლო ნორმატივებს. მზად ვართ ჩავერთოთ ნებისმიერ განხილვაში, თუ ამის საჭიროება იქნება.

პატივისცემით,

დავით ფანჯაკიძე

დირექტორი

შპს „ტეტრისი“

მობილური: 571 71 11 18, 577 44 44 32